შეთანხმება

წინამდებარე შეთანხმება იდება 2021 წლის 12 ნოემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

შპს „ინ-სი თაუერი“, ს/ნ: 405043484, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი ტოგონიძის (პ/ნ: 01008013919), სახით (შემდგომში **„მესაკუთრე“**);
და
შპს „ივერია ჯგუფი“, ს/ნ: 406168258, წარმოდგენილი მისი დირექტორების, ვახტანგი ქავთარაძისა (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 60001014570) და გოჩა შევარდნაძის (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01005002437), სახით (შემდგომში **„მოიჯარე“**).

წინამდებარე *შეთანხმებაში მესაკუთრე* და *მოიჯარე* ერთობლივად მოიხსენებიან როგორც **„მხარეები“**, ხოლო თითოეული ცალ-ცალკე – როგორც **„მხარე“**.

იქიდან გამომდინარე, რომ:

- მესაკუთრე - შპს “ინ-სი თაუერი” წარმოადგენს მშენებარე შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს (შენობა ნაგებობის მისამართები: ქ. თბილისი მიროტაძის ქ.N4 (მიწის საკადასტრო კოდი: 01.10.13.030.096);
- მხარეებს შორის 2018 წლის 10 აგვისტოს გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადაეცა მესაკუთრის კუთვნილი საიჯარო ფართი 01.10.13.030.081.01.03.501; 01.10.13.030.081.01.04.502;
- ზემოაღნიშნული იჯარის ხელშეკრულება ითვალისწინებს მოიჯარისათვის საიჯარო ქონებაში და ან საიჯარო ქონებაზე შესაბამისი წესების დაცვით განათავსოს საინფორმაციო/სარეკლამო შინაარსის აბრები;
- ზემოაღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ *მესაკუთრის* წინასწარი თანხმობით (რომლის გაცემაზეც *მესაკუთრე* არ იტყვის დაუსაბუთებულ უარს ან რომლის გაცემასაც არ გააჭიანურებს არაგონივრული ვადით), *მოიჯარეს* აქვს უფლება, საკუთარი ხარჯითა და რისკით და საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმების ფარგლებში, განათავსოს, დაკიდოს თუ დადგას შენობაზე აბრა თუ ნიშანი, და შემდგომ შეაკეთოს ან/და მოხსნას იგი.

მხარეები აღნიშნულთან დაკავშირებით აფორმებენ დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1.1. მოიჯარე საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით გადასცემს მოიჯარეს წერილობით თანხმობას შენობაზე მოიჯარის სარეკლამო აბრის განთავსებაზე, რაც წარდგენილი იქნება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში, რათა მოიჯარემ რეკლამის განთავსებისათვის მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო სტრუქტურებიდან ყველა საჭირო ნებართვა. სახელმწიფო სტრუქტურებიდან გაცემული ნებართვის ასლი წარედგინება მესაკუთრეს მანამდე სანამ სარეკლამო აბრის განთავსება მოხდება.

1.2. მოიჯარე მას შემდეგ რაც მიიღებს შესაბამისი უწყებებიდან რეკლამის განთავსების ნებართვას, უფლება აქვს დაამონტაჟოს შენობის პროსპექტის მხარეს არსებულ კედელზე სარეკლამო ბანერი. სარეკლამო ბანერის განთავსების ვადას მხარეები წინასწარ ამ შეთანხმებით ვერ განსაზღვრავენ, შესაბამისად მოიჯარეს სარეკლამო ბანერის ჩამოხსნის შესახებ მესაკუთრე შეატყობინებს 10 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით. შესაბამისად, მითითებულ ვადებში მოიჯარე ვალდებული იქნება ჩამოხსნას აღნიშნული სარეკლამო ბანერი კედლიდან. მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მესაკუთრე იქნება უფლებამოსილი ჩამოხსნას აღნიშნული სარეკლამო აბრა და მოხსნის ხარჯები დააკისროს მოიჯარეს, რაც გადახდილი უნდა იქნებს 5 საბანკო დღის განმავლობაში.

1.3. მოიჯარე იღებს სრულ პასუხისმგებლობას სარეკლამო ბანერის დამაგრების და მოხსნისას დაიცავს ყოველგვარ უსაფრთხოების წესებს. დაუშვებელია სამუშაოების წარმოებისას შენობა ნაგებობის და ან მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება გარკვეულ უსაფრთხოების წესების დარღვევებს და ან მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანებას, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მოიჯარეს და იგი ვალდებული იქნება მოახდინოს დაზიანებების სრულად აღდგენა.

1.4. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მესაკუთრე არ მოთხოვს მოიჯარეს სარეკლამო ბანერის ჩამოხსნას, ასეთ შემთხვევაში მოიჯარემ სარეკლამო ბანერი უნდა ჩამოხსნას კედლიდან საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 კალენდარული თვით ადრე და შეაკეთოს ყველა ის დაზიანება თუ დეფექტი, რაც გამოწვეული იქნება ბანერის განთავსების გამო. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შენობა ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება, ასეთ შემთხვევაში მსგავსი თანხმობის მიღება საჭირო გახდება მობინადრეების მხრიდან, ამდენად მოსახლეობის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოთხოვნილ იქნებს სარეკლამო ბანერის ჩამოხსნა.

წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მესაკუთრე
შპს "ინ-სი თაუერი"
დირექტორი
ირაკლი ტოგონიძე

მოიჯარე
შპს „ივერია ჯგუფი"
დირექტორი
ვახტანგ ქავთარაძე

გოჩა შევარდნაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211267463
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.11.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია ბრეგვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 29-40-92
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42835525921121

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს "ინ-სი თაუერი"-ს (ს.კ. 405043484)
წერილობითი თანხმობა სარეკლამო ბანერის განთავსებაზე
2021 წლის 12 ნომებერი

წინამდებარე წერილობითი თანხმობით შპს "ინ-სი თაუერი" თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ შპს "ივერია ჯგუფმა" (ს.კ. 406168258), განათავსოს მისი კომპანიის სარეკლამო ბანერი შპს "ინ-სი თაუერი"-ს საკუთრებაში არსებულ მშენებარე შენობა-ნაგებობის კედელზე. შენობა ნაგებობის მისამართები: ქ. თბილისი მიროტაძის ქ.N4 (მიწის საკადასტრო კოდები: 01.10.13.030.096) იმ სახით, რა სახითაც არის წარმოდგენილი მაკეტი (რომელიც თან ერთვის წინამდებარე წერილობით თანხმობას). ამასთანავე, შპს "ივერია ჯგუფი" ვალდებულია სახელმწიფო სტრუქტურებისგან მიღებული თანხმობის ასლი წარმოუდგინოს შპს "ინ-სი თაუერს" მისი მიღებისთანავე.

დირექტორი : ირაკლი ტოგონიძე

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის თორმეტ ნოემბერს მე ნოტარიუს მაია ბრეგვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ბაზალათის ქ.1, მომმართეს: **ვახტანგი ქავთარაძემ და გოჩა შევარდნაძემ, შპს „ივერია ჯგუფი"-ს** (ს/ნ: 406168258) სახელით, რომლებმაც წარმოადგინეს განცხადება , შედგენილი ქართულ ენაზე და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **ვახტანგი ქავთარაძემ** (დაბადებული 03.06.1967 წ. საქართველო, ქუთაისი, მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 31, ბინა 39** პირადი № 60001014570), **გოჩა შევარდნაძემ** (დაბადებული 28.06.1964 წ. საქართველო, თბილისი, მისამართი:**საქართველო, ქალაქი თბილისი, III მასივი, IV კვარტალი, კორპუსი 9, ბინა 30,** პირადი №01005002437) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შტანის საფუძველი არ მქონდა, მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. ხელმომწერ პირებს განუმარტე, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე ვამოწმებ ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებსა და შინაარსზე. მათ განაცხადეს, რომ განცხადება **ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წარმოდგენილ განცხადებას, რასაც ვამოწმებ.**

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური სამი ეგზემპლარისთვის: 12.00 (თორმეტი) ლარი, სანოტარო მომსახურების საზღაური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება №507) დღგ 2.16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი), ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, და 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ (29.12.2011წელი, დადგენილება №507)

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211267393
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.11.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია ბრეგვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 29-40-92
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	08960303041521

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქ. თბილისი

ორიათას ოცდაერთი წლის თორმეტ ნოემბერს მე ნოტარიუსს მაია ბრეგვაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში – ბაზალეთის ქ. №1-ში, მომმართა **ირაკლი ტოგონიძემ , შპს „ინ-სი თაუერი"-ს** , (ს/ნ: 405043484) სახელით, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზედ ხელისმოწერის ნამდვილობის დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **ირაკლი ტოგონიძემ** (დაბადებული 07.12.1979 წ. საქართველო,თბილისი, მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკო ცხვედაძის ქუჩა, N 18,** პირადი №01008013919), მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას .

ხელმომწერ პირს განუმარტე, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე ვამოწმებ ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებსა და შინაარსზე. მან განაცხადა , რომ **თანხმობა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წარმოდგენილ თანხმობას, რასაც ვამოწმებ.**

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური სამი ეგზ. 6.00 (ექვსი) ლარი, სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება №507), დღგ 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, და 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ (29.12.2011წელი, დადგენილება №507) სულ- 9.08 (ცხრა ლარი და რვა თეთრი), ლარი.

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე